70A 70B

ႼႫ Ⴁასილი Ⴃიდი

# ႱႭႪႨႱႠ ႼႫႨႣႨႱႠႧႭჃႱ*

Ⴐომელი ნათელ-იღებდეს სახელსა ზედა წმიდისა Ⴑამებისასა, ნათელ-იღებს სახელითა Ⴋამისაჲთა და Ⴛისაჲთა და Ⴑულისა Ⴜმიდისაჲთა(მთ.28,19). Ⴀრცა მთავრობათა მიმართ, არცა ძალთა, არცა სხუათა დაბადებულთა საცნაურ უკუე იყავნ მისდა, ვითარმედ Ⴑამებაჲ უზეშთაეს არს დაბადებულთასა და ნუცა ერთსამცა Ⴑამებისაგანსა დაამდაბლებს დაბადებულთა თანა(ინ.20,22). Ⴐამეთუ ესრეთ არს ჩუენი ესე Ⴖმრთისმეტყუელებაჲ და ესრეთ ვქადაგებთ, ვითარმედ: იყო Ⴌათელი Ⴝეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად, Ⴋამაჲ; იყო Ⴌათელი Ⴝეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად, Ⴛჱ; იყო Ⴌათელი Ⴝეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად(ინ.1,9), Ⴑული Ⴜმიდაჲ და Ⴌუგეშინისმცემელი. Ⴈყო და იყო და იყო, არამედ ესრეთ იყო Ⴌათელი და Ⴌათელი და Ⴌათელი. Ⴀრამედ ერთი Ⴌათელი, ერთი Ⴖმერთი ესე არს, რომელი **Ⴃავით** გულისჴმა-ყო პირველ და თქუა, ვითარმედ: «Ⴌათლითა შენითა ვიხილეთ ჩუენ ნათელი»(ფს.35,10). Ⴃა აწ ჩუენ გჳხილავს და ვქადაგებთ ნათლისაგან Ⴋამისა ნათელსა, ვიხილავთ Ⴛესა ნათლითა მით Ⴑულისაჲთა.

Ⴈსე არს მოკლე და კეთილი Ⴑამებისა Ⴖმრთისმეტყუელებაჲ: უარისმყოფელი უარ-ჰყოფდინ, ურჩულოჲ ურჩულოებდინ(ეს.21,2). Ⴙუენ, რომელი გულისჴმა-გჳყოფიეს, ვქადაგებთ. Ⴋთასა მაღალსა(ეს.11,9) აღვჴდეთ და ვღაღადყოთ, უკუეთუ ქუეით არა ისმენდენ ჩუენსა, და არა გუეშინის ქადაგებად, არამედ გუეშინის დადუმებად: უკუეთუ იყო ოდესმე ჟამი, ოდეს არა იყო Ⴋამაჲ, იყო, ოდეს არა იყო Ⴛჱცა; უკუეთუ იყო ჟამი ოდესმე, ოდეს არა იყო Ⴛჱ, იყო, ოდეს არა იყო Ⴑული Ⴜმიდაჲცა. Ⴓკუეთუ ერთი ამათგანი იყო მარადის პირველითგან, მაშა სამნივე იყვნეს. Ⴓკუეთუ ამათგანსა ერთსაცა დაამდაბლებ, ვიკადრებ და ვიტყჳ, ვითარმედ ნუცა მათ ორთა აღამაღლებ; რამეთუ რაჲ არს სარგებელი ესევითარისა აღსარებისაჲ, რაჲთა არა სრული Ⴖმრთეებაჲ აღიარო და, უფროჲსად, რაჲ არს Ⴖმრთეებაჲ, უკუეთუ არა სრული არს? ხოლო სრული ვითარ იყოს, უკუეთუ Ⴜმიდაჲ იგი არა აქუნდეს? ანუ რომელი აქუნდეს Ⴜმიდაჲ, გარნა ესე Ⴑული Ⴜმიდაჲ, რომელსა ვქადაგებთ? ანუ თქუნ ვინმე, თუ არს სადა თჳნიერ ამისა წმიდაჲ, ხოლო უკუეთუ ესე არს Ⴜმიდაჲ, ვითარ არა პირველითგან არს ესეცა, ვითარცა Ⴛჱ? ანუ ვითარმცა შესაძლებელ იყო, რაჲთამცა იყო ოდესმე Ⴖმერთი თჳნიერ Ⴑულისა, ვითარ-იგი იტყჳან საწყალობელნი იგი და ბილწნი? უკუეთუ არა პირველითგან იყო, მაშა ჩემ თანა შერაცხილ არს; დალაცათუ მცირედ უწინარეს ჩემსა იყოს და უკუნისამდე ჩემ თანა შერაცხილ არს, ვითარ მე Ⴖმერთ მყოს, ანუ ვითარ შემაერთებს Ⴖმერთსა?

Ⴞოლო მოიჴსენე, ვითარ Ⴓფალმან შეჰბერა მოციქულთა Ⴑული Ⴜმიდაჲ და გამოაჩინა, ვითარმედ Ⴑული Ⴜმიდაჲ არსებისა მის Ⴖმრთეებისაგან არს და არა დაბადებულთა ბუნებისაგან, და კუალად სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ Ⴑამებისათჳს, რომელსა შინა ერთსა ძალსა გულისჴმა-ვჰყოფთ Ⴋამისა და Ⴛისა და Ⴑულისა Ⴜმიდისასა და ერთსა საქმესა, რომელთაგანი არცა ერთი არს დაბადებულ და შექმნილ ბუნებით – არცა Ⴛჱ, არცა Ⴑული Ⴜმიდაჲ, რამეთუ არა იქმს ამას Ⴖმერთი, რაჲთამცა დაბადებულისა მიერ განჰყოფდა Ⴇჳსთა მადლთა ყოველთა ზედა.

Ⴞოლო მოციქული იტყჳს, ვითარმედ: «განყოფანი მადლთანი არიან და იგივე Ⴑული არს; და განყოფანი მსახურებათანი არიან და იგივე Ⴓფალი არს; და განყოფანი ძალთანი არიან და იგივე Ⴖმერთი არს, რომელი იქმს ყოველსავე ყოველსა ზედა»(I კორ.12,4-6). «აწ უკუე რასაცა Ⴖმერთი იქმს, მასვე Ⴑული Ⴜმი-

* ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა ც. ქურციკიძემ, თბ., 1983. გვ. 163-179.

დაჲ იქმს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: «ყოველსავე იქმს ერთი იგი სული და განუყოფს თითოეულად, ვითარცა ენებოს»(I კორ.12,11). Ⴌუმცა ვინ იკადრებს მონებად მოყვანებასა Ⴑულისასა, რამეთუ ვითარცა ენებოს Ⴋას, ყოველსავე იქმს საქმესა Ⴖმრთისასა.

Ⴃა კუალად, ვითარმედ: «Ⴓფალი სული იგი არს, ხოლო სადა Ⴑული Ⴓფლისაჲ იყოს, მუნ აზნაურებაჲ არს»(II კორ.3,17), რამეთუ დამკჳდრებაჲ Ⴖმრთისაჲ ჩუენ შორის Ⴑულისა მის მიერ იქმნების(რომ.8,11), ვითარცა იტყჳს **Ⴈოვანე**: ამით უწყით, ვითარმედ ჩუენ თანა არს სულისა მის მიერ, რომელი მოგუცა ჩუენ(I ინ.4,13), რამეთუ უკუეთუ არა ესე დაამკჳდრებს Ⴖმერთსა ჩუენ შორის, არა სადმე არს ჩუენ თანა Ⴖმერთი. Ⴞოლო უკუეთუ Ⴖმერთი არა არს ჩუენ თანა, არცა ცხორებაჲ, არცა კეთილნი იგი საუკუნენი მოგუეცემიან. Ⴈსმინე **Ⴎავლესი**, ვითარ იტყჳს, ვითარმედ: «არა უწყით-ა, რამეთუ ტაძარნი Ⴖმრთისანი ხართ და სული Ⴖმრთისაჲ დამკჳდრებულ არს თქუენ შორის»?(I კორ.3,16) და კუალად, ვითარმედ: «ჴორცნი თქუენნი ტაძარ არიან სულისა მის წმიდისა, რომელი არს თქუენ შორის, რომელი-იგი გაქუს Ⴖმრთისაგან»(I კორ.6,19). Ⴐამეთუ დაბადებულთა გამოცხადებაჲ უჴმს ცნობად საქმეთა Ⴖმრთისათა, ხოლო Ⴑული Ⴜმიდაჲ გამოგჳცხადებს ჩუენ, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: «Ⴖმერთმან გამოაცხადა Ⴑულისა მიერ თჳსისა და ჩუენ ზედა გამოეძიებს»(I კორ.2,10), რამეთუ მის მიერ ვჰყოფთ გამოძიებასა, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: «Ⴑული გამოეძიებს სიღრმეთა Ⴖმრთისათა»(იქვე), ხოლო თავით Ⴇჳსით უწყის, ვითარცა ჩუენმან სულმან, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: «ვინ უწყის კაცისაჲ კაცთაგანმან, გარნა სულმანვე მისმან, ეგრეთვე Ⴖმრთისაჲ ვინ უწყის, გარნა Ⴑულმანვე Ⴖმრთისამან»?(იქვე,11).

Ⴃა ცხოელს ჰყოფს Ⴖმერთი, რამეთუ იტყჳს მოციქული, ვითარმედ: «გამცნებ წინაშე Ⴖმრთისა, რომელი ცხოელს ჰყოფს ყოველთავე»(I ტიმ.6,13) და ცხორებასა მოანიჭებს Ⴕრისტე, რომელმან თქუა, ვითარმედ: «ცხოვართა Ⴙემთა ჴმისა ჩემისაჲ ისმინონ და Ⴋე ცხორებაჲ საუკუნოჲ მივსცე მათ»(ინ.10,27-28), ხოლო ცხოელ ვიქმნებით Ⴑულისა მიერ Ⴜმიდისა, რამეთუ იტყჳს **Ⴎავლე**, ვითარმედ: «Ⴐომელმან აღადგინა Ⴕრისტე მკუდრეთით, ცხოელ ყვნეს მოკუდავნი ეგე ჴორცნი თქუენნი სულისა მისისა მიერ, რომელი მკჳდრ არს თქუენ შორის»(რომ.8,11).

Ⴀწ̃ უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ცხოელ ვიქმნებით Ⴖმრთისაგან Ⴕრისტეს მიერ, Ⴑულითა Ⴜმიდითა და ამისთჳს, ვინაჲთგან ყოველი საქმჱ Ⴛისაჲ Ⴑულისა მიერ გამოჩნდების, Ⴓფალ ეწოდების სულსაცა სახელითა მით Ⴓფლისაჲთა და Ⴕრისტე – სახელითა Ⴕრისტესითა, ვითარცა აწღა ვიტყოდეთ, ვითარმედ: «Ⴓფალი Ⴑული არს» და კუალად თქუმულ არს, ვითარმედ: «თქუენ არა ჴორცითა ხართ, არამედ Ⴑულითა, რამეთუ Ⴑული Ⴖმრთისაჲ არს თქუენ შორის, უკუეთუ კულა ვისმეს სული Ⴖმრთისაჲ არა აქუნდეს, იგი არა არს Ⴕრისტესი»(რომ.8,9). Ⴃა მერმე შესძინა და თქუა, ვითარმედ: «უკუეთუ Ⴕრისტე არს თქუენ შორის»(იქვე,10), ნაცვლად ამისა, რომლისათჳს იტყოდა, ვითარმედ: «უკუეთუ Ⴑული Ⴜმიდაჲ არს თქუენ შორის».

Ⴞოლო არა არს სიტყუაჲ საღმრთოჲ, რომელი Ⴑულსა დაბადებულად უწოდს, რამეთუ იგი Ⴑიტყუაჲ, რომელი იტყჳს, ვითარმედ: «ყოველივე Ⴋის მიერ იქმნა»(ინ.1,3), სიმრავლისათჳს დაბადებულთაჲსა თქუმულ არს. Ⴞოლო Ⴑული Ⴜმიდაჲ არა სიმრავლესა თანა შერაცხილ არს, არამედ ორთა Ⴋათ თანა Ⴑამებასა აღასრულებს და დაბადებულთაგან კიდე არს და ფრიად უზეშთაეს, რამეთუ წმიდამყოფელი არს დაბადებულთაჲ და ცხოელსმყოფელი და საცხებელი სიწმიდისაჲ, და თავადისაცა Ⴓფლისა ჴორცთა სცხო მან სიწმიდითა. Ⴞოლო ესე არასადა ვინ იკადროს თქუმად, თუ Ⴓფალი ჩუენი Ⴈესუ Ⴕრისტე დაბადებულისა მიერ წმიდა იქმნა, ვითარცა იტყჳს მოციქული **Ⴎეტრე**, ვითარმედ: «Ⴈესუ Ⴌაზარეველი, რომელსა სცხო Ⴖმერთმან Ⴑულითა Ⴜმიდითა და ძალითა»(საქმ.10,38). Ⴃა არცა დაბადებულისა მიერ არს ძალი მისი, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: «Ⴑულითა Ⴖმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა»(მთ.12,28) და არცა დაბადებულისა მიერ ვიდოდა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: «აღიყვანა Ⴈგი სულმან უდაბნოდ»(ლუკ.4,1), ხოლო ვითარმცა აღიყვანა Ⴈგი დაბადებულმან? და კუალად პირველნი იგი ძუელნი წინაჲსწარმეტყუელნი იტყოდეს, ვითარმედ: «ამას იტყჳს Ⴓფალი», ხოლო ახალთა ამათ წინაჲსწარმეტყუელთა თქუეს, ვითარმედ: «ამას იტყჳს Ⴑული Ⴜმიდაჲ» და მოციქულნი იტყოდეს, ვითარმედ: «ინება Ⴑულმან Ⴜმიდამან და ჩუენ». Ⴀმისთჳსცა **Ⴎავლეცა** მოციქული გამოაჩინებდა, ვითარმედ Ⴖმრთისა მიერ იტყჳს

და ოდესმე იტყოდა, ვითარმედ: «უკუეთუ გამოცდასა ეძიებთ Ⴕრისტესსა, რომელი ჩემ შორის იტყჳს»(II კორ.13,3) და ოდესმე იტყოდა, ვითარმედ: «ვჰგონებ, თუ Ⴑული Ⴖმრთისაჲ მაქუს»(I კორ.7,40).

Ⴃა კუალად დიდებისმეტყუელებითა Ⴑულისაჲთა სავსე არიან Ⴛუელნიცა Ⴜერილნი, რამეთუ იტყჳს მეფსალმუნჱ, ვითარმედ: «Ⴑიტყჳთა Ⴓფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და Ⴑულითა პირისა Ⴋისისაჲთა ყოველი ძალი მათი»(ფს.32,6) და წიგნსა **Ⴈობისსა** წერილ არს, ვითარმედ: «Ⴑული Ⴜმიდაჲ არს, Ⴐომელმან დამბადა მე»(იობ.33,4).

Ⴞოლო ვითარცა სიტყჳსა სხჳსა მოგონებაჲ არა შესაძლებელ არს, რომლისა მიერ ცანი დაემტკიცნეს, თჳნიერ Ⴛისა(რამეთუ უკუეთუ სხჳთა სიტყჳთა დაბადებულ არიან, არა სადმე Ⴓფლისა Ⴈესუს მიერ იქმნეს, ეგრეთვე ვერცა Ⴑულისა სხჳსა შესაძლებელ არს გულისჴმისყოფაჲ), რომელი სიტყჳსა მის თანა დაამტკიცებს ძალთა ცისათა, გარნა ესე Ⴑული Ⴜმიდაჲ.

Ⴞოლო რაჟამს Ⴑული Ⴎირისაჲ გუესმას, არა კაცობრივ ვისმინოთ, არამედ ვითარცა Ⴖმრთისა შუენის. Ⴐამეთუ ვითარცა-იგი Ⴑიტყუაჲ არა სიტყუაჲ ესე არს ჰაერად განბნევადი, არამედ ვითარცა ფსალმუნი იტყჳს: «უკუნისამდე, Ⴓფალო, Ⴑიტყუაჲ შენი ჰგიეს ცათა შინა»(ფს.118,89); ეგრეთვე არცა Ⴑული მშჳნვაჲ რაჲმე არს ჰაერად განქარვებადი, არამედ მტკიცე არს იგი და შეურყეველ, რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ: «ვიდრე-მე ვიდე Ⴑულისა Ⴘენისაგან, ანუ Ⴎირისა Ⴘენისაგან ვიდრე-მე ვივლტოდი?» რამეთუ არს Ⴑული იგი Ⴜმიდაჲ და აღუვსიეს ყოველივე და პატივი იგი Ⴖმრთეებისაჲ აქუს Ⴋას. Ⴐამეთუ რაჲ-იგი თქუა Ⴑულისათჳს, მასვე იტყჳს Ⴎირისათჳს Ⴖმრთისა და მარჯუენისათჳს Ⴋისისა, ვითარმედ: «Ⴎირისა Ⴘენისაგან ვიდრე-მე ვივლტოდი? აღ-თუ-ვჴდე ცად, Ⴘენ მუნ ხარ, შთა-თუ-ვჴდე ჯოჯოხეთად, მუნცა ახლოსვე ხარ. Ⴀღ-თუ-ვიპყრნე ჴელნი ჩემნი განთიად და დავემკჳდრო დასასრულსა ზღჳსასა, მუნცა ჴელი Ⴘენი მიძღოდენ მე და მარჯუენემან Ⴘენმან შემიწყნაროს მე»(ფს.138,7-10). Ⴃა კუალად ჴმაჲ Ⴓფლისაჲ თავისა Ⴇჳსისათჳს და Ⴑულისათჳს Ⴜმიდისა იტყჳს, ვითარმედ: «Ⴋე ვარ თქუენ შორის, იტყჳს Ⴓფალი, და Ⴑული Ⴙემი იყოფების თქუენ ზედა»(ანგ.2,5-6).

Ⴀრცა უკუე უცხოჲ არს დიდებისაგან Ⴖმრთისა Ⴑული Ⴜმიდაჲ, არამედ გამოუთქმელისა



მის Ⴎირისაგან გამოუთქუმელად გამომავალ არს, არცა შერეული არს Ⴋამისა თანა და Ⴛისა, არამედ Ⴑული არს Ⴖმრთისაჲ და Ⴖმრთისა თანა არს, ხოლო მოივლინების Ⴖმრთისაგან და Ⴛისა მიერ მოგუეცემის, ვითარცა ითქუმის Ⴎირისაგან Ⴋამისა, ვითარმედ: «Ⴑული Ⴙემი, რომელი არს შენ ზედა» და ითქუმის კუალად Ⴓფლისა მიერ, ვითარმედ: «სხუაჲ Ⴌუგეშინისმცემელი მოგივლინო თქუენ»(ინ.15,26), რომელსაცა უწესს Ⴑულად Ⴝეშმარიტებისად.

Ⴄრთისა უკუე Ⴋამისა და ერთისა Ⴛისა და ერთისა Ⴑულისა Ⴜმიდისა ჯერ-არს აღსარებაჲ სწავლისაებრ წმიდათაჲსა და არცა ორთა მამათაჲ, არცა ორთა ძეთაჲ, რამეთუ Ⴑული არა Ⴛჱ არს, არცა Ⴛედ ეწოდების. Ⴐამეთუ არა Ⴑულისაგან რას მოვიღებთ, ვითარ-იგი Ⴛისაგან მოვიღებთ Ⴑულსა. Ⴀრამედ Ⴑული Ⴜმიდაჲ Ⴇჳთ მოვალს წმიდამყოფელად ჩუენდა და Ⴋას მოვიღებთ Ⴖმრთეებისა ზიარებად და ძეობისა მომცემელად და საუკუნოთა მათ სამკჳდრებელთა წინდად და დაულევნელთა მათ კეთილთა დასაბამად. Ⴃა ნუმცა ვინ გამოეძიებს რას გარეგან ამათ წმიდათა სახელთა, ნუცა სახელსა Ⴛისასა Ⴑულსა ზედა Ⴜმიდასა დადებად ებრძოდენ, ნუცა შობასა, არამედ კმა ეყოფოდენ მას სახელი იგი Ⴑულისაჲ და მსგავსებაჲ.

Ⴋე უკუე ესრეთ მრწამს ესე და ესრეთცამცა მრწამს და ვინცა არს მეგობარ ჩემდა, რაჲთა გურწმენეს Ⴖმერთი Ⴋამაჲ და Ⴖმერთი Ⴛჱ და Ⴖმერთი Ⴑული Ⴜმიდაჲ – სამი თჳთებაჲ და ერთი Ⴖმრთეებაჲ, დიდებითა და პატივითა და მეუფებითა და არსებითა განუყოფელნი, ვითარცა სხუათა მათ Ⴖმერთშემოსილთა ქადაგეს.

Ⴃა ვის არა ესრეთ ჰრწამს, ნუმცა უხილავს მას მთიები აღმომავალი, ვითარცა წერილი იტყჳს: «ნუცამცა უხილავს დიდებაჲ მერმისა მის ბრწყინვალებისაჲ», რომელსა არა ესრეთ აქუს, ანუ მიჰყვების ჟამთა თანა და სხუად და სხუად შეიცვალების და დიდთა ამათ საქმეთათჳს ბოროტად ზრახავს. Ⴐამეთუ უკუეთუ არა თაყუანისსაცემელ არს Ⴑული Ⴜმიდაჲ, ვითარ მე Ⴖმერთ მყოფს ნათლისღებისა მიერ? და უკუეთუ თაყუანისსაცემელ არს, ვითარ არა პატიოსან არს? და უკუეთუ პატიოსან არს, ვითარ არა Ⴖმერთ არს? ერთი ერთსა შეუთქს ოქროჲსა ამის ჭეშმარიტად ჯაჭჳსა და ცხოველსმყოფელისა და Ⴑულისა მიერ მომეცემის ჩუენ მეორედ შობაჲ და მეო-

რედ შობისაგან განახლებაჲ და განახლებისაგან ცნობაჲ პატივისა მის განმაახლებელისა ჩუენისაჲ.

Ⴃა კუალად სიმრავლენი იგი გულისჴმა-ყვენ საქმეთა Ⴋისთანი, რომელთა მიერ გულისჴმა-იყოფების ჭეშმარიტად Ⴖმრთეებაჲ მისი, რომელთა არა სრულიად დაიყვნენ თუალნი სულისანი.

Ⴐამეთუ გულისჴმა-ყავ ესრეთ: იშვა Ⴕრისტე და Ⴈგი წინა მირბიოდა, ნათელ-იღო და Ⴈგი ეწამებოდა, გამოიცდებოდა და Ⴋან აღიყვანა უდაბნოდ, იქმოდა ძალთა და Ⴈგი მის თანა იყო, ამაღლდა Ⴕრისტე და Ⴈგი გამოჩნდა.

Ⴐამეთუ რაჲ არს დიდთა ამათ საქმეთაგანი, რომელი Ⴋას ვერ ძალ-უც ქმნად, Ⴐომელი-იგი Ⴖმერთ არს? ანუ რაჲ სახელი საღმრთოჲ არა ეწოდების თჳნიერ უშობელობისა და შობილობისა? რამეთუ ჯერ-იყო, რაჲთა თჳთებანი იგი ეგნენ Ⴋამისა და Ⴛისანი, რაჲთა არა იყოს შერეულებაჲ Ⴖმრთისა თანა, რომელი-იგი სხუათა წესიერებასა მიანიჭებს. Ⴞოლო მე ვძრწი, რაჟამს სიმრავლენი იგი სახელთა მისთანი მოვიგონნე, თუ რავდენთა მიმართ დაბრმობილ არიან, რომელნი Ⴑულსა Ⴚმიდასა წინა-აღუდგებიან. Ⴐამეთუ Ⴑული Ⴖმრთისაჲ ეწოდების(I კორ.2,11) Ⴋას – Ⴑული Ⴕრისტესი(რომ.8,9; II კორ.3,18), Ⴑული Ⴓფლისაჲ(სიბრ.1,7), Ⴇჳთ Ⴓფალი(გოდ.4,20), Ⴑულ შვილებისა(რომ.8,15), ჭეშმარიტებისა(ინ.14,17; 15,26; 13,13), აზნაურებისა(II კორ.3,17), სულ სიბრძნისა, მეცნიერებისა, განზრახვისა, ძლიერებისა, გულისჴმისყოფისა, კრძალულებისა, შიშისა Ⴖმრთისაჲ(ეს.11,2). Ⴐამეთუ ამათ ყოველთა მოქმედი არს, ყოველთაჲვე აღმავსებელ, ყოველთა მპყრობელ, დაუტევნელ სოფელსა შინა ძალითა მისითა, სახიერ, წრფელ, მთავარ ბუნებით, არა ნიჭითა განმწმედელ, არა განწმედილ სხჳსა ვისგანმე, აღმრაცხველ, არა აღრიცხულ, აღმავსებელ, არა აღვსებულ, მპყრობელ, არა პყრობილ, დამამკჳდრებელ, დიდებულ, შერაცხულ Ⴋამასა თანა და Ⴛესა, თით Ⴖმრთისა, ცეცხლ, Ⴖმერთ, სულ დამბადებელ, განმაახლებელ ნათლისღებისა მიერ და აღდგომისა, Ⴑულ ყოვლისავე მეცნიერ, მასწავლელ, მავალ, სადაცა ენებოს და რაჲზომცა, წარმმართებელ, მეტყუელ, წარმვლენელ, განმაჩინებელ, შემრისხველ ურჩულოთა, გამომცხადებელ, განმანათლებელ, ცხოელსმყოფელ და უფროჲსად Ⴇჳთ ნათელ და ცხორება; ტაძარმყოფელ, Ⴖმერთმყოფელ, სრულმყოფელ, მსწრობელ უწინარეს ნათლისღებისა და საძიებელ შემდგომად ნათლისღებისა, მოქმედ ყოვლისავე საღმრთოჲსა საქმისა, განმყოფელ ენათა ცეცხლისათა, განმყოფელ მადლთა, განმანათლებელ მოციქულთა, წინაჲსწარმეტყუელთა, მახარებელთა, მწყემსთა, მოძღუართა; საცნაურ მრავალ, განმყოფელ, უზომო, დიდ, დაუყენებელ, უბიწო, ყოვლად ბრძენ, მრავალსახე საქმითა მისითა და გამომაჩინებელ ყოვლისავე, თჳთმფლობელ, უცვალებელ, ყოვლად ძლიერ, ყოველთა ზედამხედველ, ყოველთა სულთა ზედა მიფენილ საცნაურთა მათ და წმიდათა წურილთა ანგელოზებრთა მათ ძალთა, ეგრეთვე წინაჲსწარმეტყუელთა, მოციქულთა ერთბამად და არა ერთსა ადგილსა, არამედ სხუაჲ სხჳსა ადგილსა რაჲ არნ და სხუაჲ სხჳსა, და ყოველთა ზედა მიეფინის, რომლითა გამოჩნდების გარეშეუწერელობაჲ მისი და, უწინარეს ყოვლისა, ნუგეშინისმცემელ. Ⴐამეთუ ესრეთ თქუეს და ესრეთ გუასწავეს წმიდათა მათ ქადაგთა, რომელნი Ⴖმრთად უწოდენ მას(ინ.14,16), რომელთა მისდა მიმართ ოდენ გმობაჲ იციან შეუნდობელად(მთ.12,31), რომელთა **Ⴀნანია** და **საპფირა** ესრეთ საშინელად განაქიქეს, რამეთუ უტყუვა Ⴑულსა Ⴚმიდასა და არა კაცსა(საქმ.5,3).

Ⴐასა იტყჳ, Ⴥ მეტყუელო ამაოებისაო, არა Ⴖმრთად გჳქადაგეს-ა მათ იგი? ვითარ ფიცხელ ხარ და შორს Ⴚმიდისა მის Ⴑულისაგან, უკუეთუ ამას ვერ გულისჴმა-ჰყოფ, არამედ გიჴმს მასწავლელი?

Ⴄსე არიან სახელნი მისნი და ესრეთ კეთილ, ხოლო მისთჳსცა რავდენი რაჲ ითქუმის სიტყუაჲ მდაბალი, ესე იგი არს: მოცემაჲ(ლუკ.11,13), მოვლინებაჲ(ინ.16,7), განყოფაჲ(ებრ.2,4), მონიჭებაჲ(საქმ.2,38), შთაბერვაჲ(ინ.20,22), აღთქუმაჲ(გალატ.3,14), ლოცვაჲ(რომ.8,26) და ყოველივე მსგავსი ამისი, რაჲთა არა ვიტყოდი თითოეულად. Ⴗოველივე პირველისა მის მიზეზისა მიმართ გულისჴმა-ყავ, რაჲთა გამოჩნდეს ძალისაგანობაჲ და არა შემოვიხუნეთ სამნი მთავრობანი, განყოფილნი ურთიერთას. Ⴐამეთუ ურჩულოებითა სწორ არს **საბელიოზურად** შერწყმაჲ და **Ⴀრიოზულად** განყოფაჲ; იგი გუამითა და ესე ბუნებითა, რომელი-იგი მე ფრიად გამოვიძიე თავსა შორის ჩემსა მოსწრაფებითა მით გონებისაჲთა და ყოვლით კერძო წარვჰმართე სიტყუაჲ ჩემი, და მრავალთა ზედა მივიწიე და ვეძიებდი, რაჲთამცა ვპოე სახჱ რაჲმე ესევითარისა ამის საქმისაჲ და ვერარაჲ ვპოე

საქმე სახედ ბუნებისა მის ღმრთეებისა. რამეთუ დალაცათუ მცირედი რაჲმე მსგავსებაჲ იპოოს, უმეტესი ივლტის და მე სახისა მის თანა ქუევე დავრჩები. წყალი და წყაროჲ და მდინარჱ მოვიგონე და სხუათაცა მოიგონეს ესე, თუ ნუუკუე ერთი იგი იქმნას სახედ მამისა და მეორე – ძისა და მესამე – სულისა წმიდისა. რამეთუ ესენი არცა ჟამეულად განყოფილ არიან ურთიერთას, არცა ერთი ერთისაგან განკუეთილ და შერაცხილ არს, ვითარცა სამითა თჳთებითა განყოფილ. არამედ შევძრწუნდი, პირველად ამისთჳს, ნუუკუე დინებაჲ შემოვიღო წმიდასა მას ბუნებასა ზედა და დაუდგრომელობაჲ და კუალად ამისთჳს, ვითარმედ ნუუკუე ამით სახითა ერთგუამებაჲ შემოვიდეს, რამეთუ თუალი და წყაროჲ და მდინარე ერთგუამ არიან, რომელნი განიყოფებიან თითოსახედ. კუალად მზჱ მოვიგონე და შარავანდედი და ნათელი, არამედ აქაცა შემეშინა, პირველად ამისთჳს, ვითარმედ ნუუკუე შეზავებულებაჲ რაჲმე შემოვიდეს შეუზავებელისა მის ბუნებისაჲ, ვითარცა არს მზჱ და საქმენი მისნი და მეორედ ამისთჳს, ვითარმედ ნუუკუე მამაჲ გუამოვან ვყოთ და სხუანი იგი არა. არამედ ძალად ღმრთისა ვთქუათ შეყოფილ მის თანა და არა გუამოვან, რამეთუ



არცა შარავანდედი და ნათელი სხუანი მზენი არიან, არამედ მზისა მიერ გამომავალნი და ძალნი მისნი. და ესრეთ სახისა ამისგან ჩუენისა მივსცეთ ღმერთსა არსებაჲ და არაარსებაჲ, რომელი-იგი უშჯულოება არს.

და ესრეთ არარაჲ არს ყოლადვე, რომელმანცა უძლო გონებისა ჩემისა დარწმუნებად, არამედ ყოველსა შინა იპოების წინააღმდგომი. გარნა თუ ესრეთ ვინ ქმნას, რაჲთა სახისა მისგან ერთი რაჲმე მიიღოს და სხუაჲ იგი დაუტეოს, ხოლო მე უკუანაჲსკნელ ესე სათნო-ვიყავ, რაჲთა სახეთა ძიებისაგან განვეშორო, ვითარცა მაცთურთა და ჭეშმარიტებისა ვერმპოვნელთა. და მე დავადგრე გონებასა ზედა კეთილსა და სული წმიდაჲ წინამძღურად ვიჴმარო, რაჲთა ესრეთ ბრწყინვალებაჲ, რომელი აქა გამიბრწყინდა, აღსასრულადმდე დავიმარხო ძალითა მისითა და, ვითარცა კეთილმან თანამზრახვალმან, განმავლოს კეთილად ესე საწუთროჲ და რაჲთა სხუათაცა ყოველთა უქადაგებდე თაყუანისცემად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ერთისა მის ღმრთეებისა და ერთისა ძალისა, რამეთუ მისი არს ყოველივე დიდებაჲ და პატივი და სიმტკიცჱ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

